

მკითხველისა და მთარგმნელის ცრუ მეგობრები უილიამ შექსპირის პიესებში „მაკბეტი“ და „მეფე ლირი“: ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული ასპექტები

ქეთევანი მჭედლიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ketevani.mchedlishvili3@iliauni.edu.ge

თეზისი

შექსპირის შემოქმედება საუკუნეების მანძილზე არაერთი მკვლევრის ყურადღებას იპყრობდა. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურული კვლევის გარდა, საკმაოდ გაიზარდა ინტერესი შექსპირის ენის ლინგვისტური თავისებურებების შესწავლის კუთხით, რაც განპირობებულია ციფრული ტექნოლოგიებისა და კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდების განვითარებით. ერთ-ერთ საინტერესო საკითხი შექსპირის შემოქმედებაში არის ცრუ მეგობრების პრობლემა, რომელიც ვრცლად აქვთ განხილული დევიდ კრისტალს (Crystal 2008), ჯონათან კალპეპერს (Culpeper, Murphy 2020) და სხვებს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში შექსპირის ქართული მკითხველებისა და მთარგმნელებისათვის ცრუ მეგობრების პრობლემის აქტუალურობის შესწავლა და შემდგომი ანალიზი ეფუძნება ორ პიესას „მაკბეტსა“ და „მეფე ლირს“ რისთვისაც გამოვიყენე CQPweb-ის (Hardie, 2012) სერვერზე განთავსებული შექსპირის კორპუსი ESC: First Folio Plus (Hardie, Culpeper et al. 2021). სხვადასხვა პროგრამული ინსტრუმენტისა და შექსპირის ლექსიკონებში გამოყენებული მეთოდების კომბინაციის შედეგად შეირჩა 34 ლექსიკური ერთეული, რომელიც ცრუ მეგობრებად განიხილება.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში და მისი ერთ-ერთი შედეგია შექსპირის ცრუ მეგობრების ორენოვანი, ინგლისურ-ქართული სიტყვა-სტატიის მოდელის შემუშავება და სიტყვა-სტატიების შედგენა შერჩეული ლექსიკური ერთეულებისათვის. წინამდებარე სტატიაში სიტყვა-სტატიის „Abuse“-ის მაგალითზე დაყრდნობით განვიხილავ შემუშავებული ორენოვანი სიტყვა-სტატიების მოდელს, რომელიც სამომავლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შექსპირის ორენოვანი უფრო ვრცელი ლექსიკონის შესადგენად.

საკვანძო სიტყვები: შექსპირი; ცრუ მეგობრები; კორპუსული მეთოდები; ორენოვანი სიტყვა-სტატია

1. შესავალი

21-ე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიებისა და კორპუსული მეთოდების სინთეზმა მკვლევრებს საშუალება მისცა განსხვავებული მიდგომები შეემუშავებინათ

შექსპირის ენის ლინგვისტური ასპექტების კვლევისადმი. ამ მხრივ სიახლეს წარმოადგენს ლანკასტერის უნივერსიტეტის პროექტის *Encyclopedia of Shakespeare's language*¹ ფარგლებში შექმნილი შექსპირის პიესებისა *The Enhanced Shakespearean Corpus: First Folio Plus*² (Culpeper, Hardie et al. 2021) და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა კორპუსი. წინამდებარე პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ციფრული და კორპუსული მეთოდების გამოყენებას შექსპირის ენის შესწავლის პროცესში.

შექსპირის ენის შესწავლისას ერთ-ერთ სირთულეს ცრუ მეგობრები ქმნის. აღნიშნული საკვლევო საკითხი არაერთი მკვლევრის ინტერესს იწვევს (Crystal 2008; Aronoff and Rees-Miller 2017), თუმცა ქართული მკითხველებისა და მთარგმნელებისათვის ცრუ მეგობრების აქტუალურობის შესწავლის კუთხით კვლევები არ ჩატარებულა. გარდა ამისა, დღესდღეობით არ მოგვეპოვება შექსპირის სპეციალიზებული ორენოვანი ლექსიკონი ან გლოსარიუმი.

კვლევის ფარგლებში, ცრუ მეგობრების საკითხის შესწავლის მიზნით, შეირჩა ორი პიესა „მაკბეტი“ და „მეფე ლირი“, კორპუსში *ESC: First Folio Plus* შექმნა ქვეკორპუსი *Macbeth/King Lear*, ხოლო პროგრამული ინსტრუმენტის სინშირული სიისა და დევიდ კრისტალის ცრუ მეგობართა სიაზე (Crystal 2012) დაყრდნობით შეირჩა 34 ლექსიკური ერთეული, რომლისთვისაც შემუშავდა სიტყვა-სტატიათა მოდელი ინგლისურ-ქართული შექსპირის ცრუ მეგობრების გლოსარიუმისათვის. აღნიშნული სიტყვარის კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს ინგლისური საილუსტრაციო მაგალითების პარალელურად ქართულენოვანი ივანე მაჩაბლისა (1954) და მანანა ანთაძის (2017) თარგმანების წარმოდგენა სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა თანდართულ კომენტარებში განგვეხილა ექცევიან თუ არა მთარგმნელები ცრუ მეგობრების ზეგავლენის ქვეშ და რა ხერხით გადმოსცემენ დედნისეულ ტექსტში გამოყენებული ინგლისური სიტყვის მნიშვნელობას ქართულენოვან თარგმანში. ასევე აღსანიშნავია, რომ ცრუ მეგობრების პრობლემის აქტუალურობისა და მკითხველების მიერ დაშვებული ტიპური შეცდომების გაანალიზებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25 ცდისპირმა. მიღებული შედეგები კი აისახა სიტყვა-სტატიებში.

წინამდებარე სტატიის მეორე თავში ზოგადად მიმოვიხილავ ცრუ მეგობართა რაობას. მესამე თავში საუბარია კორპუსის შედგენისა და ცრუ მეგობართა შერჩევის მეთოდოლოგიაზე, მეოთხე თავი კი ეთმობა სიტყვა-სტატიის მოდელის აღწერას და სანიმუშოდ წარმოდგენილია ორენოვანი სიტყვა-სტატია. დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

2. ცრუ მეგობართა რაობა

პირველად ფრანგული ტერმინი „*faux amis du traducteur*“ ანუ მთარგმნელის ცრუ მეგობრები 1928 წელს გამოიყენეს (Aronoff and Rees-Miller 2017: 649). ცრუ მეგობრებად შეგვიძლია განვიხილოთ სიტყვათა წყვილი ორ ან რამდენიმე ენაში, რო-

1 <http://wp.lancs.ac.uk/shakespearelang/> [წვდომილი: 09.02.2024]

2 ESC: First Folio Plus

მელთაც მსგავსი ბგერითი შედგენილობა, თუმცა ერთმანეთისგან განსხვავებული მნიშვნელობები აქვს (Aronoff and Rees-Miller 2017: 649-651). დროსთან ერთად ცრუ მეგობრების ცნება გაფართოვდა და გავრცელდა ერთი ენის შიგნით არსებულ სიტყვებზე, რომლებსაც ეტაპობრივად, სემანტიკური ცვლილების გზით განუვითარდა ახალი მნიშვნელობები (Crystal 2008: 156).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ცრუ მეგობრების ოთხ ნაირსახეობას: სინქრონული ენათაშორისი, სინქრონული შიდაენობრივი, დიაქრონიული ენათაშორისი და დიაქრონიული შიდაენობრივი (Aronoff, Rees-Miller 2017). კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია სწორედ დიაქრონიულ შიდაენობრივ ცრუ მეგობრებზე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებმაც დროსთან ერთად განიცადეს სემანტიკური ცვლილება და თანამედროვე ენაში მათ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით ვხვდებით. მაგალითად, შექსპირის 130-ე სონეტში გამოყენებულია სიტყვა reek: „And in some perfumes is there more delight than in the breath that from my mistress reeks” (Shakespeare, Sonnet 130, line 8). ამ სიტყვას აღნიშნულ კონტექსტში აქვს მნიშვნელობა „აფრქვევს სურნელებას,” რომელიც ოქსფორდის დიდი ლექსიკონის (2009) მიხედვით დღეისათვის მოძველებულია. შექსპირის სონეტების ქართული მთარგმნელი ნინო რამიშვილი კი სიტყვას reek უკავშირებს მის თანამედროვე ინგლისურში გავრცელებულ მნიშვნელობას: „უსიამოვნო, მყრალი სუნის გამოცემა“³ და აღნიშნულ მონაკვეთს თარგმნის შემდეგნაირად: „მე იმის სუნთქვას ფიქრის ყნოსვა ვეღარ მივანდე, უამურია, ისე როგორც მყრალი ქეშელა“ (რამიშვილი, სტრიქონი 8, როგორც ციტირებულია მარგალიტაძე 2014).

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შერჩეული 34 ლექსიკური ერთეული.

3. კორპუსის შედგენა, ცრუ მეგობრების შერჩევის მეთოლოგია

შექსპირის ცრუ მეგობრებზე მუშაობის პროცესი დაეფუძნა კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდებს, რისთვისაც გამოვიყენეთ CQPweb-ის (Hardie 2012) სერვერზე განთავსებული შექსპირის სპეციალიზებული კორპუსი *ESC: First Folio Plus*. ასევე ვინახლმძღვანელეთ დევიდ კრისტალის მიერ დამუშავებული ცრუ მეგობრების სიით (Crystal 2008: 234-244). *ESC: First Folio Plus*-ის კორპუსში, “შექმენით ქვე-კორპუსები” ფუნქციის გამოყენებით, შევარჩიეთ ორი პიესის კოდი *Mac* (მაკბეტი), *KL* (მეფე ლირი) და შევქმენით ახალი კორპუსი სახელწოდებით *Macbeth/King Lear*, რომლის სიდიდეც შეადგენს დაახლოებით 50,000 სიტყვაფორმას.

ცრუ მეგობრების დადგენის პროცესში გამოვიყენეთ პროგრამული ინსტრუმენტი „სიხშირული სიები“, რომელიც გვიჩვენებს კორპუსში შემავალი სიტყვაფორმების, ლემებისა თუ სხვა შერჩეული პარამეტრების ნუსხას, მათ შესახებ სიხშირული მონაცემების თანხლებით (McEnery 2013). შეირჩა და გაანალიზდა 1-15 დიაპაზონის სიხშირული მაჩვენებლების მქონე ლემები. მიღებული სიხშირული სია შედგება 3883 ლემისგან, რომელთა შორის პირველ რიგში, გადამოწმდა დევიდ კრისტალის მიერ დამუშავებული ცრუ მეგობრების არსებობა. შედეგად დადგინდა, რომ საანალიზო კორპუსში დასტურდება ისეთი ცრუ მეგობრები, როგორიცაა *abroad* (*adv.*),

3 <https://dictionary.ge/ka/word/reek+ll/>

catastrophe (n.), ecstasy (n.), generous (adj.), honest (adj.), mischief (n.), nice (adj.), naughty (adj.), pelting (adj.), rude (adj.), safe (adj.), vicious (adj.), want (v.). აღნიშნული სიტყვების გარდა სიხშირულ სიაში ცრუ მეგობრების პოტენციურ კანდიდატებად განიხილებოდა პოლისემიური მნიშვნელობის მქონე სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილები. ლემების მნიშვნელობების დასადგენად გამოვიყენეთ კრისტალების შექსპირის გლოსარიუმი (Crystal and Crystal 2004) და OED (2009). ლექსიკონებთან შედარების საფუძველზე დადგინდა თუ რამდენად აკმაყოფილებდნენ ისინი ცრუ მეგობრების კრიტერიუმებს.

მაგალითად, კორპუსში გვაქვს 13 ლემა, რომელიც გვხვდება სიხშირული მაჩვენებლით 15. მათი რიცხვიდან შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა სიტყვები *comfort, pleasure, remember*, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ზმნას *comfort* აქვს ორი მნიშვნელობა ნუგეშისცემა, დამშვიდება და დახმარება, მხარდაჭერა. ეს უკანასკნელი შექსპირის პერიოდში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ თანამედროვე ინგლისურში მას სჭარბობს ზმნა *comfort*-ის ნუგეშისცემის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები, რაც კორპუსული ანალიზითაც დასტურდება (BNC XML Edition, 2007). ანალოგიური პროცედურა ჩატარდა სხვა სიხშირული მაჩვენებლების მქონე ლემების შემთხვევაშიც. საბოლოო სიას დაემატა ცრუ მეგობრები: *abuse (v.), argument (n.), comfort (v.), doubt (v.), endure (v.), false (adj.), fret (v.), habit (n.), heavy (adj.), meat (n.), miscarry (v.), passion (n.), pregnant (adj.), possess (adj.), speed (v.), temper (n.), virtue (n.), wake (v.), weird (adj)* და ა.შ.

4. სიტყვა-სტატიათა მოდელი

სიტყვა-სტატიების შედგენის პროცესში სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრნენ შექსპირის მკითხველები, კერძოდ კი ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტები. ამ მცირე მოცულობის სიტყვარის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს მათთვის შექსპირის ნაშრომების ინგლისურ ენაზე კითხვის პროცესის გამარტივება, ქართულ თარგმანთან დედნისეული ტექსტის შეპირისპირება და წარმოჩენა, თუ რამდენად ახდენს ცრუ მეგობრების პრობლემა ზეგავლენას მათზე, როგორც მკითხველებზე და ასევე მთარგმნელებზე. სიტყვა-სტატიის „Abuse“-ის ანალიზის საფუძველზე განვიხილავ კვლევის ფარგლებში შემუშავებული სიტყვა-სტატიის მოდელს.

Abuse |əˈbjuːz| verb

ძველი ფორმა: abus'd

ეტიმოლოგია: შემოსულია ბვ. ფრანგულიდან *abuser*, ზმნა, "მოტყუება, სასტიკად მოპყრობა, ბოროტად გამოყენება" (მომდინარეობს ლათინურიდან *abuti*, ზმნა, "გამოყენება, მოხმარება"; წყარო: etymonline.com)

სურათი 1. სიტყვა-სტატია Abuse

სიტყვა-სტატიას „Abuse” ახლავს ფონეტიკური ტრანსკრიფცია. გრამატიკული ინფორმაცია, მეტყველების ნაწილის სახით მოცემულია სრული ფორმით. აგრეთვე, მითითებულია სიტყვის ძველი ფორმა *abus'd*. სიტყვა-სტატიას თან ერთვის ეტიმოლოგიური ინფორმაცია, რომელშიც მითითებულია სიტყვის წარმომავლობა და მისი მნიშვნელობა (იხ. სურათი 1).

1. შეცდომაში შეყვანა, მოტყუება; Now over the one half-world nature seems dead, and wicked dreams **abuse** the curtained sleep (*Mac, Act II, Scene I, Macbeth*) ამ ჟამად ქვეყნის ნახევარზედ ზუნება თითქო მიმკვდარებულა და სიზმარნი ბოროტეულნი გულით მძინარეთ აწუხებენ (*ო. მაჩაბელი, გ. გაჩეჩილაძე, 1954*); მთელი სამყაროს ნახევარი ძილს მისცემია, თავს დასტრიალებს საშინელი, ავი, სიზმარი (*მ. ანთაძე, 2017*)

2. შეურაცხყოფის მიყენება, ცილისწამება; O my follies! then Edgar was **abused** (*KL, Act III, Scene VII, Gloucester*) ვაი ამ ჩემს სულელობას, უგუნურებას! ეხლა ცხადია, რომ ედგარი ცილმა დაღუპა... (*ო. მაჩაბელი, გ. გაჩეჩილაძე, 1954*) რა სულელი ვარ! თურმე ჩემს ჩვილს ცილი დასწამეს (*მ. ანთაძე, 2017*)

სურათი 2. სიტყვა-სტატია *abuse*-ის პოლისემიური მნიშვნელობები და საილუსტრაციო მაგალითები

სიტყვა-სტატიის მეორე ნაწილში, პოლისემიური მნიშვნელობების დადგენის პროცესში ვიხელმძღვანელებთ ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონითა (OED) (2009) და კრისტალების (2004) შექსპირის გლოსარიუმით. ასევე, კორპუსული მეთოდით, რომელიც გულისხმობს კონკორდანსის ანალიზს. სიტყვა-სტატიებში არაბული ციფრებითაა გამოყოფილი ყველა ის მნიშვნელობა, რომელიც დასტურდება საანალიზო კორპუსში. მაგალითად, ზმნის *abuse* შემთხვევაში კრისტალების გლოსარიუმში გამოყოფილია 5 პოლისემიური მნიშვნელობა: 1. *Deceive, mislead*; 2. *Misuse, maltreat*; 3. *Malign, revile*; 4. *Misapply, employ badly*; 5. *Demean, dishonor* (Crystal and Crystal 2004). საანალიზო კორპუსში ლემა *abuse*-ს ძიების შედეგად მიღებული კონტექსტების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ზმნა *abuse*-ის ორი პოლისემიური მნიშვნელობა, რომელიც გვხვდება პიესებში „მეფე ლირი“ და „მაცბეტი“: 1. შეცდომაში შეყვანა, მოტყუება 2. შეურაცხყოფის მიყენება, ცილისწამება. ქართული ეკვივალენტების შერჩევის პროცესში გამოვიყენეთ დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ქართულენოვანი მასალა. საილუსტრაციო მაგალითები კი ამოღებულია შექსპირის სპეციალიზებული კორპუსიდან და თან ერთვის, შესაბამისი მონაკვეთების ქართულენოვანი თარგმანების ორივე ვერსია.

False friend – ცრუ მეგობარი

ორივე მნიშვნელობის ცრუ მეგობრად ხშირად განიხილება სიტყვის მნიშვნელობა **სასტიკად მოპყრობა, ძალადობა**. მნიშვნელობებს **შეცდომაში შეყვანა და ცილისწამება** OED-ში (“Abuse”, 1989, sense 2.b.; sense 3, v.) მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია მოძველებული, რის გამოც მკითხველი სიტყვას **abuse** უკავშირებს მის თანამედროვე მნიშვნელობას ინგლისურში **სასტიკად მოპყრობა, ძალადობა**. I მნიშვნელობის შემთხვევაში მაჩაბელი & გაჩეჩილაძისა და ანთაძის თარგმანებში ეს მნიშვნელობა არ არის გადმოცემული და მის ნაცვლად ვხვდებით სიტყვებს, როგორცაა (**აწუხებენ, თავს დასტრიალებენ**), რაც არ ასახავს უშუალოდ ამ მნიშვნელობას, თუმცა შესაძლოა ჩაითვალოს პოეტური თარგმანისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გადაჭრის გზად, სადაც არ ხდება დედნისეული ტექსტის შინაარსის უხეში დარღვევა. II მნიშვნელობის შემთხვევაში კი მაჩაბელი & გაჩეჩილაძისა და ანთაძის თარგმანებში ვხვდებით ეკვივალენტებს (**ცილმა დაღუპა, ცილი დასწამეს**), რომლებიც მთარგმნელებს სწორად აქვთ შერჩეული.

სურათი 3. სიტყვა-სტატია abuse-ს კომენტარი

სიტყვა-სტატიების მესამე ნაწილი კი ეთმობა კომენტარებს, რომელშიც განმარტებულია თუ რა მნიშვნელობები განიხილება აღნიშნული სიტყვისთვის ცრუ მეგობრებად. გარდა ამისა, არქაული ან მოძველებული მნიშვნელობების შესახებ ინფორმაცია დამოწმებულია ოქსფორდის ინგლისური ენის (OED) ლექსიკონიდან (2009). კომენტარებს თან ახლავს ორი თარგმანის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა და აღწერილია თუ რამდენად ადეკვატურად არის გადმოცემული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა ეკვივალენტის, კონტექსტუალური ეკვივალენტისა თუ სხვა მნატვრული ხერხის საშუალებით. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სტუდენტური გამოკითხვის შედეგად, რომელშიც შეირჩა 42 შექსპირის ცრუ მეგობრის შემცველი კონტექსტი, Abuse-ის ორივე მნიშვნელობის შემთხვევაში ცდისპირთა უმეტესობამ სწორ პასუხად შეარჩია ცრუ მეგობარი „სასტიკად მოპყრობა“ (9/25), რაც აისახა სიტყვა-სტატიის კომენტარის კომპონენტში, სადაც განმარტებულია, რომ მკითხველი სიტყვას abuse უკავშირებს მის თანამედროვე მნიშვნელობას ინგლისურში „სასტიკად მოპყრობა,“ „ძალადობა“.

5. დასკვნა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ცრუ მეგობრების საკითხი, რომელიც უქმნის სერიოზულ პრობლემებს, როგორც შექსპირის მკითხველებს, ასევე მთარგმნელებს. ამ მხრივ, გამონაკლისს არც ქართველი მკითხველები წარმოადგენენ. კვლევის ფარგლებში შექსპირის სპეციალიზებული კორპუსის გამოყენებით შეირჩა 34 შექსპირის ცრუ მეგობარი, რომელთა წარმოდგენისთვისაც შემუშავდა ორენოვანი სიტყვა-სტატიის მოდელი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩატა-

რებული სტუდენტთა გამოკითხვის ფარგლებში წინასწარ შერჩეული ცრუ მეგობრების შემცველი 42 კონტექსტიდან, მკითხველებმა სწორი პასუხის გაცემა მხოლოდ 24 შემთხვევაში შეძლეს. რაც შეეხება მთარგმნელებს, გამოვლინდა ორი ცრუ მეგობრის ზეგავლენის ქვეშ მოქცევის შემთხვევა (მაჩაბელი – ecstasy, ანთაძე – safe), თუმცა ეს უკანასკნელი წარმოადგენს მსჯელობისა და ინტერპრეტაციის საგანს და საჭიროებს უფრო მეტად სიღრმისეულ ანალიზს მხატვრული ტექსტის თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით.

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები სამომავლოდ შესაძლებელია გამოვიყენოთ უფრო ვრცელი შექსპირის ცრუ მეგობრების ლექსიკონის შედგენისთვის. აგრეთვე, მკითხველთა შორის ცრუ მეგობრების საკითხის აქტუალიზაციისა და შედგენილი ლექსიკონის სასწავლო პროცესში გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრისთვის სასურველი იქნება სხვადასხვა ტიპის კითხვარებისა და სავარჯიშოების შედგენა.

ბიბლიოგრაფია

- დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი. წვდომილი: www.dictionary.ge [13/02/2024]
- მარგალიტაძე, თ. (2014). დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და შექსპირის ქართული თარგმანები. შექსპირის დაბადებიდან 450 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შექსპირი 450“. მაისი, 2014, 10. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრი.
- შექსპირი, უ. (1954). ტრაგედიები, ტომი II. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
- შექსპირი, უ. (1954). ტრაგედიები, ტომი III. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
- შექსპირი, უ. (2017). ტრაგედიები ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „კენტავრი“.
- Aronoff, M., Miller, J. (2017). *The handbook of Linguistics*. 2nd edition. Oxford: John Wiley & Sons Ltd.
- Crystal, D. (2008). *Think on my words: Exploring Shakespeare's language*. Cambridge: Cambridge University Press.
- Crystal, D.; Crystal, B. (2004). *Shakespeare's words: A glossary and language companion*. Penguin Books. <https://www.shakespeareswords.com/>
- Culpeper, J., Hardie, A., Demmen, J., Hughes, J., & Timperley, M. (2021). Supporting the corpus-based study of Shakespeare's language: Enhancing a corpus of the first folio. In *ICAME Journal*, 45(1), pp. 37–86. <https://doi.org/10.2478/icame-2021-0002>
- Hardie, A. (2012). CQPweb – combining power, flexibility and usability in a corpus analysis tool. In *International Journal of Corpus Linguistics* 17(3), pp. 380-409
- McEnery, T. (2013). *Corpus Linguistics: some key items*. UK: Lancaster University.
- Murphy, S., Culpeper, J. et al. (2020) What do students find difficult when they read Shakespeare? Problems and solutions. In *Language and Literature* 29(3), pp. 302-326.
- Oxford English Dictionary*. Second Edition on CD-ROM (v. 4.0)
- Shakespeare, W. (2011). *The complete works of William Shakespeare* (4th ed.). Delphi Classics.
- The British National Corpus, version 3 (BNC XML Edition). (2007). Distributed by Oxford University Computing Services on behalf of the BNC Consortium. <http://www.natcorp.ox.ac.uk/>

მადლობა

აღნიშნული კვლევა განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების (მოდული: ენა და ლექსიკოგრაფია) სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში. მადლობას ვუხდის ჩემს ხელმძღვანელებს პროფესორ თინათინ მარგალიტაძესა და გიორგი მელაძეს. აგრეთვე, ლანკასტერის უნივერსიტეტისა და FutureLearn-ის პლატფორმას “Shakespeare’s Language: Revealing Meanings and Exploring Myths“ სასწავლო კურსის შექმნისათვის.

A Reader and Translator’s False Friends in Shakespeare’s Plays Macbeth and King Lear: Lexicological and Lexicographic Aspects

Ketevan Mchedlishvili
Ilia State University, Ph.D. student, Georgia
ketevani.mchedlishvili3@iliauni.edu.ge

Abstract

The eternal themes raised in the works of William Shakespeare, a distinguished member of world drama, have attracted the attention of many scholars over the centuries. It is noteworthy that in addition to literary research, there has been considerable interest in the study of the linguistic features of Shakespeare’s language due to the development of digital technologies and corpus linguistics methods. The creation of Shakespeare’s corpora made it possible to conduct more in-depth research at all levels of the language system and refine Shakespeare’s dictionaries.

One of the interesting issues in Shakespeare’s work is the problem of false friends, which has been extensively discussed by David Crystal (D. Crystal, 2008), Jonathan Culpeper (J. Culpeper, 2021), and others. In this study I defined and identified Shakespeare’s false friends based on Shakespeare’s plays *Macbeth* and *King Lear*, for which I used Shakespeare’s corpus ESC: First Folio Plus (A. Hardie, J. Culpeper et al. 2021) hosted on the CQPweb server (A. Hardie, 2012). In the research conducted as part of the master’s dissertation, I combined different software tools and methods used in Shakespeare’s dictionaries and selected 34 lexical items which are considered false friends.

As a result of the study I compiled a bilingual English-Georgian glossary of Shakespeare’s false friends. In addition, two versions of Shakespeare’s Georgian translations by Ivane Machabeli (1954) and Manana Antadze (2017) are present in dictionary entries. Each entry is accompanied by comments analyzing how false friends influence translators and readers, how adequately the original text is translated into Georgian, and how relevant this issue is for English philology students in Georgia, for which I used the results of the survey conducted at Tbilisi State University.

I developed the structure of the dictionary entry which consists of the following components: headword, transcription, grammatical label (part of speech), etymology, polysemous meanings, Georgian equivalents, illustrative examples with Georgian translations, comments. It should be noted that out of 42 preselected context containing

false friends students managed to answer correctly only in 24 instances. As for the translators, it should be mentioned that the study revealed only 2 cases of falling under the influence of false friends (Machabeli – Ecstasy, Antadze – safe). Therefore, we should highlight the professionalism and skills of Georgian translators to translate English texts into the Georgian Language and to choose adequate equivalents for false friends.

The model of a dictionary entry, developed as a result of this study, can be used in the future for the compilation of a bilingual dictionary of false friends of Shakespeare.

Keywords: Shakespeare, false friends, translations, corpus methods.

